სამხედრო თავდაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობა როგორც ტოტალური თავდაცვის კონცეფციის მთავარი ელემენტები საქართველოში

ეკა ბერაია
ამერიკათმცოდნეობის დოქტორი, კავკასიის
საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა: eka.beraia@ciu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0000-0001-5491-7672
ანტონ ქუთათელაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ელ-ფოსტა: Anton.kutateladze@ciu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0009-0003-7732-7060

აბსტრაქტი. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება „ტოტალური თავდაცვის“ კონ-ცეფციის როლის კვლევას საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში. თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების გარემო ხასიათდება მრავალფეროვანი და კომპლექსური საფრთხეებით, რომლებიც მოიცავს როგორც ტრადიციულ სამხედრო აგრესიას, ისე ჰიბრიდულ ომს, კიბერსაფრთხეებს, დეზინფორმაციას, ეკონომიკურ ზეწოლასა და სხვა არაკონ-ვენციურ გამოწვევებს. აღნიშნული გარემოებები სახელმწიფოებისგან მოითხოვს უსაფრთხოები-სადმი ახალი, ინტეგრირებული და მრავალგანზომილებიანი მიდგომების შემუშავებას. კვლევის მი-ზანია „ტოტალური თავდაცვის“ კონცეფციის თეორიული საფუძვლების, ისტორიული განვითარე-ბის, ძირითადი კომპონენტებისა და საქართველოს პირობებში მისი პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობების ანალიზი. ნაშრომში განხილულია კლასიკური რეალიზმის, ნეორეალიზმის, სე-კურიტიზაციის, ლიბერალიზმის, ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ჰიბრიდული ომის თეორიების მნიშვნელობა ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ჩამოყალიბების პროცესში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამხედრო თავდაცვის, სამოქალაქო ჩართულობის, საერთაშორისო თანა-მშრომლობის, ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური და ციფრული თავდაცვის ურთიერთკავ-შირს. კვლევა ეფუძნება ისტორიულ-აღწერილობით, შედარებით, კონტენტ-ანალიზის, შემთხვევის შესწავლის (Case Study), SWOT ანალიზისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდებს. ნაშრომი აჩვენებს, რომ საქართველოს უსაფრთხოების ეფექტიანი უზრუნველყოფა შეუძლებელია მხოლოდ სამხედრო ძალებზე დაყრდნობით და საჭიროებს სახელმწიფოს, საზოგადოების, კერძო სექტორისა და საერთაშორისო პარტნიორების კოორდინირებულ თანამშრომლობას.

კვლევის შედეგად დასტურდება, რომ „ტოტალური თავდაცვის“ კონცეფცია წარმოადგენს სა-ქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერების მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც ზრდის ქვეყნის მდგრადობას, კრიზისებისადმი ადაპტაციის უნარსა და ჰიბრიდული საფრთხეებისადმი წინააღმდეგობის შესაძლებლობას. ნაშრომში წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები, რომ-ლებიც ხელს შეუწყობს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის სრულყოფასა და საქართველოს თავ-დაცვისუნარიანობის შემდგომ გაძლიერებას.

საკვანძო სიტყვები: ტოტალური თავდაცვა, ეროვნული უსაფრთხოება, ჰიბრიდული ომი, სამ-ხედრო თავდაცვა, სამოქალაქო თავდაცვა, სეკურიტიზაცია, ეკონომიკური უსაფრთხოება, კიბერუ-საფრთხოება, საერთაშორისო თანამშრომლობა, საქართველო

***

შესავალი. თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების გარემო გამოირჩევა სწრაფი ცვლილებებითა და საფრთხეების მზარდი მრავალფეროვნებით. თუ წარსულში სახელმწიფოების უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა ძირითადად სამხედრო აგრესია იყო, XXI საუკუნეში მას დაემატა ჰიბრიდული ომი, კიბერშეტევები, დეზინფორმაცია, ეკონომიკური ზეწოლა, ტერორიზმი და სხვა არაკონვენციური საფრთხეები. აღნიშნულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეცვალა უსაფრთხოების ტრადიციული გაგება და დღის წესრიგში დააყენა ისეთი მიდგომების აუცილებლობა, რომლებიც სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობას მხოლოდ სამხედრო შესაძლებლობებით არ განსაზღვრავს. სწორედ ამ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „ტოტალური თავდაცვის" კონცეფცია, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას განიხილავს როგორც სახელმწიფოს, საზოგადოების, ეკონომიკისა და საერთაშორისო პარტნიორების ერთობლივი ძალისხმევის შედეგს. აღნიშნული მოდელი ეფუძნება იდეას, რომ ქვეყნის უსაფრთხოება მხოლოდ თავდაცვის ძალების პასუხისმგებლობა არ არის და მასში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება სამოქალაქო საზოგადოებას, კერძო სექტორს, სახელმწიფო ინსტიტუტებსა და თითოეულ მოქალაქეს. საქართველოსთვის, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობისა და არსებული უსაფრთხოების გამოწვევების გათვალისწინებით, ტოტალური თავდაცვის კონცეფცია განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. ქვეყნის წინაშე მდგარი სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და საინფორმაციო საფრთხეები საჭიროებს ეროვნული რესურსების ეფექტიან მობილიზებასა და კოორდინირებულ გამოყენებას. ამასთანავე, თანამედროვე ჰიბრიდული საფრთხეების პირობებში მნიშვნელოვანი ხდება საზოგადოების მდგრადობის, კრიზისებისადმი მზადყოფნისა და ეროვნული ერთიანობის განმტკიცება.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ტოტალური თავდაცვის კონცეფციის თეორიული საფუძვლების, მისი ძირითადი კომპონენტებისა და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში მისი მნიშვნელობის ანალიზს. კვლევაში განხილულია საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების კვლევების ძირითადი თეორიები, აგრეთვე სამხედრო, სამოქალაქო, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და ციფრული თავდაცვის როლი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში. ნაშრომი ასევე აფასებს ტოტალური თავდაცვის კონცეფციის პრაქტიკულ მნიშვნელობას და მის შესაძლებლობებს საქართველოს ეროვნული მდგრადობისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მიმართულებით.

ლიტერატურის მიმოხილვა. „ტოტალური თავდაცვის" კონცეფციის კვლევა ეფუძნება საერთაშორისო ურთიერთობების, უსაფრთხოების კვლევებისა და სამხედრო მეცნიერების ფარგლებში განვითარებულ მრავალ თეორიულ და პრაქტიკულ ნაშრომს. თანამედროვე უსაფრთხოების გარემოს ტრანსფორმაციამ და ჰიბრიდული საფრთხეების ზრდამ მნიშვნელოვნად გაზარდა ინტერესი იმ მოდელების მიმართ, რომლებიც სახელმწიფოს უსაფრთხოებას კომპლექსურად განიხილავენ და სამხედრო, სამოქალაქო, ეკონომიკურ და საინფორმაციო რესურსებს ერთიან სისტემაში აერთიანებენ.

ტოტალური თავდაცვის კონცეფციის თეორიული გააზრებისას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კლასიკური რეალიზმის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით ჰანს მორგენთაუსა და ნიკოლო მაკიაველის ნაშრომებს, რომლებიც სახელმწიფო უსაფრთხოებისა და ძალაუფლების მნიშვნელობას უსვამენ ხაზს. რეალიზმის მიხედვით, საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, რის გამოც სახელმწიფოები იძულებულნი არიან საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მუდმივად განავითარონ თავდაცვითი შესაძლებლობები.

ნეორეალიზმის წარმომადგენლები, მათ შორის კენეტ უოლცი, რობერტ ჯერვისი და სტივენ ვან ევერა, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ძალთა ბალანსისა და შეკავების პოლიტიკის მნიშვნელობაზე. მათი მოსაზრებით, ეფექტიანი თავდაცვითი შესაძლებლობები აგრესიის პრევენციის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

თანამედროვე უსაფრთხოების კვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბარი ბუზანის, ოლე ვაერისა და იააპ დე უაილდის მიერ შემუშავებულ სეკურიტიზაციის თეორიას, რომელიც განმარტავს, თუ როგორ იქცევა კონკრეტული საკითხი ეროვნული უსაფრთხოების პრობლემად და როგორ ხდება სახელმწიფოს რესურსების მობილიზება მის საპასუხოდ. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტოტალური თავდაცვის კონცეფციის გასაანალიზებლად.

ჰიბრიდული ომის თეორიის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ფრენკ გ. ჰოფმანმა. მისი ნაშრომები აღწერს თანამედროვე კონფლიქტების იმ ფორმას, სადაც ტრადიციული სამხედრო მოქმედებები შერწყმულია კიბერშეტევებთან, საინფორმაციო ოპერაციებთან, ეკონომიკურ ზეწოლასა და სხვა არაკონვენციურ მეთოდებთან. სწორედ ჰიბრიდული საფრთხეების ზრდამ განაპირობა ტოტალური თავდაცვის მოდელის აქტუალობის ზრდა.

საქართველოს უსაფრთხოების საკითხების კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართველი მკვლევრების – ვახტანგ მაისაიას, გუგული მაღრაძის, კორნელი კაკაჩიას, ნიკა ჩიტაძისა და სხვა ავტორების ნაშრომებს, რომლებიც განიხილავენ ეროვნული უსაფრთხოების, რეგიონული სტაბილურობისა და თავდაცვის პოლიტიკის განვითარების საკითხებს. მათი კვლევები მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის ტოტალური თავდაცვის კონცეფციის საქართველოს რეალობაში გააზრებისა და შეფასებისთვის.

აღნიშნული სამეცნიერო ნაშრომებისა და თეორიული მიდგომების ანალიზი ადასტურებს, რომ თანამედროვე უსაფრთხოების გარემოში სახელმწიფოს მდგრადობისა და თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა მოითხოვს კომპლექსურ და მრავალგანზომილებიან მიდგომას, რასაც ყველაზე სრულყოფილად სწორედ ტოტალური თავდაცვის კონცეფცია პასუხობს.

მეთოდოლოგია. წინამდებარე კვლევა ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას და მიზნად ისახავს „ტოტალური თავდაცვის" კონცეფციის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესწავლას საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში. კვლევის პროცესში გამოყენებულია რამდენიმე ურთიერთშემავსებელი მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკითხის მრავალმხრივ ანალიზსა და ობიექტური დასკვნების ჩამოყალიბებას. კვლევის ძირითად მეთოდს წარმოადგენს ისტორიულ-აღწერილობითი მეთოდი, რომლის საშუალებითაც გაანალიზებულია ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ფორმირების ისტორიული წინაპირობები, მისი განვითარების ეტაპები და სხვადასხვა სახელმწიფოს გამოცდილება. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა შეფასდეს კონცეფციის ევოლუცია და მისი მნიშვნელობა თანამედროვე უსაფრთხოების გარემოში.[1] ნაშრომში ასევე გამოყენებულია კონტენტ-ანალიზის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შესწავლილია საერთაშორისო და ქართული სამეცნიერო ლიტერატურა, სახელმწიფო სტრატეგიული დოკუმენტები, უსაფრთხოების კონცეფციები, კვლევები და ექსპერტული შეფასებები. აღნიშნული მასალების ანალიზმა შესაძლებელი გახადა ტოტალური თავდაცვის კონცეფციის თეორიული საფუძვლებისა და პრაქტიკული მნიშვნელობის განსაზღვრა. კვლევის მნიშვნელოვანი კომპონენტია შემთხვევის შესწავლის (Case Study) მეთოდი, რომელიც გამოყენებულია სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების ანალიზისთვის. აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა შეფასდეს ტოტალური თავდაცვის მოდელის პრაქტიკული შედეგები და მისი გამოყენების შესაძლებლობები საქართველოს რეალობაში. ნაშრომში გამოყენებულია ასევე SWOT ანალიზის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც შეფასებულია ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და გამოწვევები საქართველოს უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს არსებული მდგომარეობის კომპლექსურ შეფასებასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას. კვლევის პროცესში გათვალისწინებულია შედარებითი ანალიზის ელემენტებიც, რაც შესაძ-

[1] Kakachia, Kornely. 2018. Georgia's Security Challenges and Foreign Policy Priorities. Tbilisi: Georgian Institute of Politics.

ლებლობას იძლევა ერთმანეთთან შედარდეს სხვადასხვა თეორიული მიდგომა და პრაქტიკული გამოცდილება. აღნიშნული მეთოდოლოგიური ჩარჩო უზრუნველყოფს კვლევის სანდოობას, ობიექტურობასა და მეცნიერულ ღირებულებას, რაც აუცილებელია ტოტალური თავდაცვის კონცეფციის სრულყოფილი ანალიზისა და შეფასებისთვის.[2]

თეორიული ჩარჩო. წინამდებარე კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების კვლევების ფარგლებში განვითარებული ძირითადი თეორიები, რომლებიც შესაძლებელს ხდის „ტოტალური თავდაცვის" კონცეფციის არსის, მნიშვნელობისა და პრაქტიკული როლის გაანალიზებას. კვლევის თეორიული ჩარჩო ეფუძნება კლასიკური რეალიზმის, ნეორეალიზმის, სეკურიტიზაციისა და ჰიბრიდული ომის თეორიებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებული, თუმცა ურთიერთშემავსებელი პერსპექტივებით ხსნიან თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევებს.

კლასიკური რეალიზმის მიხედვით, საერთაშორისო სისტემა მუდმივი კონკურენციისა და ძალაუფლებისთვის ბრძოლის სივრცეს წარმოადგენს. აღნიშნული თეორია ხაზს უსვამს სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ აქტორს და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობას. ამ მიდგომის შესაბამისად, ტოტალური თავდაცვის კონცეფცია განიხილება, როგორც სახელმწიფოს მიერ საკუთარი რესურსების მაქსიმალური მობილიზების საშუალება ეროვნული ინტერესებისა და სუვერენიტეტის დასაცავად[3].

ნეორეალიზმი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო სისტემის ანარქიულ ბუნებასა და ძალთა ბალანსის მნიშვნელობაზე. ამ თეორიის მიხედვით, სახელმწიფოები უსაფრთხოების უზრუნველყოფას საკუთარი შესაძლებლობების გაძლიერებითა და თავდაცვითი მექანიზმების განვითარებით ცდილობენ. ტოტალური თავდაცვის კონცეფცია სწორედ ამ მიდგომას ეხმიანება, რადგან იგი სახელმწიფოს მდგრადობისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისკენ არის მიმართული.[24]

სეკურიტიზაციის თეორიას კვლევის თეორიულ ჩარჩოში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რომელიც შემუშავებულია კოპენჰაგენის სკოლის წარმომადგენლების – ბარი ბუზანის, ოლე ვაევერისა და იააპ დე უაილდის მიერ. აღნიშნული თეორია განმარტავს, თუ როგორ ხდება კონკრეტული საკითხების უსაფრთხოების სფეროში გადატანა და მათი აღქმა, როგორც ეგზისტენციალური საფრთხეების.[25] სეკურიტიზაციის მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტოტალური თავდაცვის კონცეფციისთვის, რადგან ის იძლევა საზოგადოების, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და რესურსების მობილიზების შესაძლებლობას საერთო უსაფრთხოების მიზნების მისაღწევად. ამასთანავე, კვლევა ეყრდნობა ჰიბრიდული ომის თეორიას, რომელიც თანამედროვე კონფლიქტების მრავალგანზომილებიან ხასიათს ასახავს. ჰიბრიდული ომი აერთიანებს სამხედრო, საინფორმაციო, კიბერნეტიკურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინსტრუმენტებს, რაც სახელმწიფოს წინაშე არსებულ საფრთხეებს კიდევ უფრო კომპლექსურს ხდის. აღნიშნული თეორია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ტოტალური თავდაცვის მოდელს, რადგან თანამედროვე ჰიბრიდულ საფრთხეებთან ეფექტიანი გამკლავება მხოლოდ სამხედრო ძალებით შეუძლებელია და მოითხოვს სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთიან ძალისხმევას. შესაბამისად, წარმოდგენილი თეორიული ჩარჩო ქმნის კონცეპტუალურ საფუძველს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ტოტალური თავდაცვის კონ-

[2] Buzan, Barry, Ole Wæver, and Jaap de Wilde. 1998. Security: A New Framework for Analysis. Boulder, CO: Lynne Rienner Publishers.
[3] Waltz, Kenneth N. 1979. Theory of International Politics. Reading, MA: Addison-Wesley.
[24] Van Evera, Stephen. 1999. Causes of War: Power and the Roots of Conflict. Ithaca, NY: Cornell University Press.
[25] Buzan, Barry, Ole Wæver, and Jaap de Wilde. 1998. Security: A New Framework for Analysis. Boulder, CO: Lynne Rienner Publishers.

ცეფციის მნიშვნელობის, მისი ძირითადი კომპონენტებისა და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში მისი როლის სიღრმისეული ანალიზი.

სამხედრო თავდაცვა, როგორც ტოტალური თავდაცვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი

ტოტალური თავდაცვის კონცეფციაში სამხედრო თავდაცვა ერთ-ერთ ძირითად და ფუნდამენტურ კომპონენტს წარმოადგენს. მისი მთავარი დანიშნულებაა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული ინტერესების დაცვა გარე საფრთხეებისგან. თანამედროვე უსაფრთხოების გარემოში სამხედრო ძალები არა მხოლოდ ქვეყნის თავდაცვის პირველ ხაზს ქმნიან, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კრიზისების მართვის, შეკავების პოლიტიკის განხორციელებისა და ეროვნული უსაფრთხოების საერთო სისტემის გამართულ ფუნქციონირებაში.

სამხედრო თავდაცვის ეფექტიანობა დამოკიდებულია შეიარაღებული ძალების პროფესიონალიზმზე, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილობაზე, საბრძოლო მზადყოფნასა და სწრაფი რეაგირების შესაძლებლობებზე. ამასთანავე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეზერვის სისტემის განვითარებას, სამხედრო განათლებასა და თავდაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობას. ტოტალური თავდაცვის პირობებში სამხედრო კომპონენტი მჭიდროდ თანამშრომლობს სახელმწიფო ინსტიტუტებთან, სამოქალაქო სექტორსა და საზოგადოებასთან, რაც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და მდგრადობის გაძლიერების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.[26]

საქართველოსთვის, არსებული უსაფრთხოების გამოწვევებიდან გამომდინარე, სამხედრო თავდაცვის გაძლიერება ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად რჩება. სწორედ ძლიერი, თანამედროვე და ეფექტიანი თავდაცვის ძალები წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელზეც ტოტალური თავდაცვის მთელი სისტემა არის აგებული

საერთაშორისო თანამშრომლობა, როგორც ტოტალური თავდაცვის მნიშვნელოვანი კომპონენტი

ტოტალური თავდაცვის კონცეფციაში საერთაშორისო თანამშრომლობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, რადგან თანამედროვე უსაფრთხოების გარემოში სახელმწიფოები მრავალი ისეთი საფრთხის წინაშე დგანან, რომელთა დაძლევა მხოლოდ ეროვნული რესურსებით რთულია. საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა ხელს უწყობს თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერებას, გამოცდილების გაზიარებას, თანამედროვე სტანდარტების დანერგვასა და კრიზისებზე ეფექტიანი რეაგირების მექანიზმების განვითარებას. საერთაშორისო თანამშრომლობა მოიცავს როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების სფეროებში პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, ერთობლივ წვრთნებს, თავდაცვის სფეროში გამოცდილების გაცვლასა და უსაფრთხოების საკითხებზე კოორდინირებულ მოქმედებას. აღნიშნული პროცესები ხელს უწყობს სახელმწიფოს მდგრადობის გაზრდას და ეროვნული უსაფრთხოების სისტემის განვითარებას.[27] საქართველოსთვის საერთაშორისო თანამშრომლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს, რადგან ქვეყნის უსაფრთხოების გარემო დაკავშირებულია როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ გამოწვევებთან. საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერა, გამოცდილების გაზიარება და საერთო უსაფრთხოების ინტერესებზე დაფუძნებული თანამშრომლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში. შესაბამისად, საერთაშორისო თანამშრომლობა ტოტალური თავ-

[26] Clausewitz, Carl von. 1976. On War. Edited and translated by Michael Howard and Peter Paret. Princeton, NJ: Princeton University Press.

[27] Cohen, Richard. 2001. Cooperative Security: From Individual Security to International Stability. Garmisch-Partenkirchen: George C. Marshall European Center for Security Studies.

დაცვის სისტემის განუყოფელი ნაწილია და ქმნის დამატებით შესაძლებლობებს ეროვნული ინტერესების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის.[28]

დასკვნა. კვლევამ აჩვენა, რომ თანამედროვე უსაფრთხოების გარემოში სახელმწიფოს წინაშე არსებული საფრთხეები მრავალგანზომილებიანი და კომპლექსური ხასიათისაა, რაც უსაფრთხოების უზრუნველყოფის ტრადიციული მიდგომების გადახედვას საჭიროებს. „ტოტალური თავდაცვის" კონცეფცია წარმოადგენს ეფექტიან მოდელს, რომელიც აერთიანებს სამხედრო, სამოქალაქო, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და ციფრულ კომპონენტებს ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს უსაფრთხოების ეფექტიანი უზრუნველყოფა შეუძლებელია მხოლოდ სამხედრო ძალებზე დაყრდნობით და მოითხოვს სახელმწიფოს, საზოგადოების, კერძო სექტორისა და საერთაშორისო პარტნიორების კოორდინირებულ თანამშრომლობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამხედრო თავდაცვის გაძლიერებას, საზოგადოების ჩართულობასა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. შესაბამისად, ტოტალური თავდაცვის კონცეფციის განვითარება და მისი ელემენტების ეფექტიანი ინტეგრირება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების, მდგრადობისა და თავდაცვისუნარიანობის შემდგომ გაძლიერებას თანამედროვე გამოწვევების პირობებში.[29]

გამოყენებული ლიტერატურა

Buzan, Barry, Ole Wæver, and Jaap de Wilde. 1998. *Security: A New Framework for Analysis*. Boulder, CO: Lynne Rienner Publishers.

Cohen, Richard. 2001. *Cooperative Security: From Individual Security to International Stability*. Garmisch-Partenkirchen: George C. Marshall European Center for Security Studies.

Clausewitz, Carl von. 1976. *On War*. Edited and translated by Michael Howard and Peter Paret. Princeton, NJ: Princeton University Press.

Hoffman, Frank G. 2007. *Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars*. Arlington, VA: Potomac Institute for Policy Studies.

Jervis, Robert. 1978. "Cooperation under the Security Dilemma." *World Politics* 30 (2): 167–214.

Machiavelli, Niccolò. 2005. *The Prince*. Translated by Peter Bondanella. Oxford: Oxford University Press.

Mearsheimer, John J. 2001. *The Tragedy of Great Power Politics*. New York: W. W. Norton & Company.

Morgenthau, Hans J. 2006. *Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace*. 7th ed. New York: McGraw-Hill.

NATO. 2022. *NATO Strategic Concept 2022*. Brussels: North Atlantic Treaty Organization.

Republic of Georgia. 2023. *National Security Concept of Georgia*. Tbilisi: Government of Georgia.

Republic of Georgia. 2021. *National Defense Strategy of Georgia 2021–2025*. Tbilisi: Ministry of Defence of Georgia.

Van Evera, Stephen. 1999. *Causes of War: Power and the Roots of Conflict*. Ithaca, NY: Cornell University Press.

Waltz, Kenneth N. 1979. *Theory of International Politics*. Reading, MA: Addison-Wesley.

Kakachia, Kornely. 2018. *Georgia's Security Challenges and Foreign Policy Priorities*. Tbilisi: Georgian Institute of Politics.

Chitadze, Nika. 2022. *National Security of Georgia and Contemporary International Relations*. Tbilisi: Universal Publishing House.

[28] Chitadze, Nika. 2022. National Security of Georgia and Contemporary International Relations. Tbilisi: Universal Publishing House.

[29] Republic of Georgia. 2021. National Defense Strategy of Georgia 2021–2025. Tbilisi: Ministry of Defence of Georgia.